სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #3

ქ. თბილისი **2026 წლის 29 ივნისი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1.ნაზირა კაკულია 2. მარინა მაისურაძე 3. ივა ბახტაძე 4. ლუკა გიორგობიანი 5. ნიკა სამხარაძე 6. ლია მაჭავარიანი 7. მარიამ ახალკაციშვილი 8. მაკა მურვანიძე 9. ლუკა გერგედავა 10. მაია ივანიძე 11. ირა აქუბარდია 12. ნინო გოგნიაშვილი 13. ბარბარა მახარაძე 14. ანი ქიტიაშვილი 15. რევაზ გაჩეჩილაძე 16. კახა კუჭუხიძე 17. ლუკა ტაბიძე 18. ვლადიმერ გამსახურდია 19. ლილი მამუკაშვილი 20. ნინი ჯავახიშვილი 21. ვლადიმერ მარგველაშვილი 22. თინა ქიტუაშვილი 23. არჩილ ხომასურიძე 24. კახაბერ ლორია 25. მანანა რუსიეშვილი 26. თეა ქარჩავა 27. ნათია ფიფია 28. გიორგი არქანია 29. მარიამ მახარობლიძე 30. ზურაბ გაიპარაშვილი 31. ნინო პავლიაშვილი 32. ციური სუმბაძე 33. სოფიო ხუციშვილი 34. ლალი ახალბედაშვილი 35. ადა ნემსაძე 36. თამილა ჩალაძე 37. მანანა ნიკოლაიშვილი 38. მარინე ხუციშვილი 39. ნოდარ ლომიძე 40. თეა შავაძე 41. ალექსი პაჭკორია (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. ჯაბა სამუშია 2. ივანე ამირხანაშვილი 3. თეიმურაზ ბაქრაძე 4. თამარ გაგოშიძე 5. ცისმარ გავაშელი 6. როზეტა გუჯეჯიანი 7. ირაკლი დვალიძე 8. თამარ ვეფხვაძე 9. გიორგი ლომინაძე 10. ვახტანგ მაღრაძე 11. მარინე მაჭავარიანი 12. ლევან საბაური 13. ნინო სადრაძე 14. ზაქარია ქიტიაშვილი 15. კახაბერ ქოიავა 16. რამაზ ქურდაძე 17. ნინო შარაშიძე 18. ალექსანდრე შენგელაია 19. თემურ შენგელია 20. მაია ძაგანია (დანართი 2)

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა საბჭოს წინაშე დასვა დღის წესრიგის წარმოდგენილი სახით დამტკიცების საკითხი.

დღის წესრიგი:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის - რევაზ გაჩეჩილაძის შეკითხვის პასუხად, თსუ იურიდიული დეპარტემენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლაშა საღინაძემ განმარტეს წესდების ცვლილებისათვის კანონით დადგენილი პროცედურა. კერძოდ, აღინიშნა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, წარმომადენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მონაწილეობით შეიმუშავებს და განიხილავს უნივერსიტეტის წესდების ცვლილების პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს.
საკითხის მომხსენებელმა, თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ აღნიშნა, რომ აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე წარმოდგენილია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი ცვლილებები.
განმარტა, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში განსახორციელებელი ცვლილების პროექტი ითვალისწინებს წესდების ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანას. გათვალისწინებულია სხვა ცვლილებებიც. მან მუხლობრივად და პუნქტობრივად წარმოადგინა თითოეული.
როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ცვლილების პროექტით დარეგულირდება ახალი აკადემიური თანამდებობის - წამყვანი პროფესორის შემოღებასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, წამყვანი პროფესორის თანამდებობაზე არჩევის წესის, კრიტერიუმების, უნივერისტეტის აკადემიურ საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოში წევრობის შესახებ ნორმები. ცვლილების პროექტით ხორციელდება წესდების იმ ნორმის ამოღება, რომელიც არეგულირებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრობის საკითხებს, ვინაიდან მოცემული ნორმა მრავალი წლის განმავლობაში გამოუყენებელია და დადგინდა, რომ მისი არსებობის საჭიროება აღარ არის და სხვა საკითხები.
საკითხის ირგვლივ გაიმართა მსჯელობა, რომელშიც მონაწილეობდნენ წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს წევრები: რევაზ გაჩეჩილაძე, თეა ქარჩავა, გიორგი არქანია, თინა ქიტუაშვილი, ნოდარ ლომიძე, ირაკლი დვალიძე, თამარ გაგოშიძე, ასევე სხდომაში მონაწილე სხვა პირები. გამომსვლელები დაინტერესდნენ, კონკრეტულად, რა ფუნქცია ექნება წამყვან პროფესორს, რა კრიტერიუმებით აირჩევა ის, რით განსხვავდება წამყვანი პროფესორის ფუნქცია პროფესორის ფუნქციისაგან, როგორ და რა ფორმით დარეგულირდება წამყვანი პროფესორის ანაზღაურების საკითხი, როგორი იქნება ზოგადად უნივერსიტეტის სახელფასო პოლიტიკა აკადემიურ პერსონალთან მიმართებით, როგორი იქნება უნივერსიტეტის დაფინანსების მოდელი. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი გიორგი არქანია ასევე დაინტერესდა, მე-7 კორპუსის საკითხით. კერძოდ, გაჟღერდა თუ არა რაიმე კონკრეტული წინადადებები სამინისტროს მხრიდან თსუ-ს მიერ

აღნიშნული კორპუსის დათმობის სანაცვლოდ ახალი ინფრასტრუქტურის აშენების (უპირველეს ყოვლისა - სტუდენტური საცხოვრებელი) პირობასთან დაკავშირებით...
ასევე, მან უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით. კერძოდ, გიორგი არქანიამ აღნიშნა, რომ ხმას ვერ მისცემს ზოგადად პრინციპს და მიდგომას, რომელიც უხეშად არღვევს უნივერსიტეტის დეკლარირებულ ავტონომიას. მისი აზრით, უკანასკნელ პერიოდში ავტონომია უხეშად ირღვევა და უნივერსიტეტს პირდაპირ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს წარუდგენენ. წამყვანი პროფესორის თანამდებობის შემოღება ხდება შემოღების მიზნის, კომპეტენციათა განსაზღვისა და სხვა აუცილებელი დეტალების წარმოდგენისა და დასაბუთების გარეშე. უნივერსიტეტი და მისი მართვის ორგანოები სამინისტროს დირექტივების უსიტყვო აღმსრულებლები არ უნდა იყვნენ. საუნივერსიტეტო საზოგადოება იმსახურებს მსგავს საკითხებზე მსჯელობას და დისკუსიის ფორმატში საკითხის განხილვას. ჯერ უნდა იყოს საფუძვლიანად წარმოდგენილი ყველა დეტალი, დასაბუთება, მიზანშეწონილობა უნდა იყოს მკაფიო, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დადგეს საკითხი კენჭისყრაზე.
სენატის წევრის თეა ქარჩავას მოსაზრებით კი, წამყვანი პროფესორის უფლება-მოვალეობები, ანაზღაურების საკითხი, ბუნდოვანი, არაარგუმენტირებული და არადამაჯერებელია, როგორც აკადემიური პერსპექტივიდან, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. ცვლილებები აკნინებს უნივერსიტეტის ავტონომიურობის იდეას.
უნივერსიტეტის რექტორმა, ჯაბა სამუშიამ განმარტა, რომ ამ ეტაპზე განიხილება მხოლოდ უნივერსიტეტის წესდების „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი, ხოლო მომდევნო ეტაპზე აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები დაუბრუნდებიან წამყვანი პროფესორის არჩევასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას და სამუშაო ჯგუფის ფორმატში, თითოეული ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით, განხილული იქნება როგორც წამყვანი პროფესორის არჩევისათვის შესაბამისი კრიტერიუმების განსაზღვრის, ასევე ყველა სხვა თანმდევი საკითხი, მათ შორის ანაზღაურების თემა თუ სხვა. აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა კანონის არსებული ჩანაწერი, რომელიც უფლებას უტოვებს უნივერსიტეტს, სწორედ, ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, თავად განსაზღვროს კონკრეტული/დამატებითი პირობები. რექტორის განმარტებით, ზოგადად გადაიხედება აკადემიურ პერსონალთან მიმართებით არსებული სახელფასო პოლიტიკა. აღნიშნა, რომ სექტემბრისთვის იგეგმება დაფინასების ახალ წესთან დაკავშირებით სიახლეები და ასევე შეეხო ინფრასტრუქტურული პროექტების საკითხს და აღნიშნა, რომ განიხილება სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის საკითხი.
ხანგრძლივი დისკუსიისა და კითხვა-პასუხის რეჟიმის დასრულების შემდგომ უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე: 39

წინააღმდეგი: 2

მიღებული გადაწყვეტილებები:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში თანდარული სახით (დანართი #3);
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შემუშავებული ცვლილება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

სენატის სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ოქიტაშვილი

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2026 წლის 29 ივნისი, #3 სხდომა)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი

1. ნაზირა კაკულია -

2. ნინო ფარესაშვილი -

3. ლელა ბახტაძე -

4. მარინა მაისურაძე -

სტუდენტები:

1.საბა გოგიბერიძე -

2. ივა ბახტაძე –

3. ლუკა გიორგობიანი –

4. გიორგი გოროზია –

5. ლუკა რუხაძე –

6. ნიკა სამხარაძე -

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ლია მაჭავარიანი-

2. მარიამ ახალკაციშვილი-

3. მაკა მურვანიძე-

სტუდენტები:

1. მარიამ ვარდოსანიძე-

2. ვასილ ბერიძე-

3. ხატია ყველაშვილი -

4. ლუკა გერგედავა -

იურიდიული ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1.მაია ივანიძე-

2. ირა აქუბარდია –

3. ნინო გოგნიაშვილი -

სტუდენტები:

1. ბარბარა მახარაძე-

2. ანი ქიტიაშვილი –

3. ლუკა ჯანჯღავა -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1.ხათუნა მაისამვილი-

2. რევაზ გაჩეჩილაძე -

სტუდენტები:

1. კახა კუჭუხიძე-

2. ლუკა ტაბიძე -

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

ვლადიმერ გამსახურდია-

სტუდენტები:

1. ლილი მამუკაშვილი –
2. ნინი ჯავახიშვილი -

მედიცინის ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-
2. თინა ქიტუაშვილი-
3. ია კირვალიძე –
4. ლალი მარვაძე –
5. არჩილ ხომასურიძე -

სტუდენტები:

1.ასპრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

2.დემეტრე აბესაძე -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. კახაბერ ლორია-
2. ანასტასია ზაქარიაძე-
3. მანანა რუსიეშვილი-

4. თეა ქარჩავა-

5. ნათია ფიფია -

სტუდენტები:

1. გიორგი არქანია-

2. მარიამ ბაღათურია -

3. მარიამ მახარობლიძე –

4. ქეთევან სტურუა –

5. ქეთევან ჭეიშვილი -

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე-

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-

კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

ედიშერ ფუტკარაძე-

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-

ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა მაგაძე-

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია-

დანართი 2

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრთა სია

(2026 წლის 29 ივნისი, N3 სხდომა)

1. სამუშია ჯაბა, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე -
2. ამირხანაშვილი ივანე -
3. ბაქრაძე თეიმურაზ -
4. გაგოშიძე თამარ -
5. გავაშელი ცისმარი -
6. გუჯეჯიანი როზეტა -
7. დვალიძე ირაკლი -
8. ეფრემიძე ლაშა -
9. ვეფხვაძე თამარ -
10. ზოიძე თამარ -
11. თოთლაძე ლია -
12. ლომინაძე გიორგი -
13. მაღრაძე ვახტანგ -
14. მაჭავარიანი მარინე -
15. ნადარაია ელიზბარ -
16. საბაური ლევან -
17. სადრაძე ნინო -
18. ქიტიაშვილი ზაქარია -
19. ქოიავა კახაბერ -
20. ქურდაძე რამაზ -
21. შარაშიძე ნინო -

22. შენგელაია ალექსანდრე -

23. შენგელია თემურ -

24. ცისკარიძე ალექსანდრე -

25. ცხადაძე ედიშერ -

26. ძაგანია მაია -

27. წერეთელი მარი -

28. ხუციშვილი ქეთევან -

პროექტი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №

2026 წლის

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

მუხლი 1.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 11/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016655) პირველი მუხლით დამტკიცებულ წესდებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლის:

ა) მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ფაკულტეტის წარმომადგენელი აკადემიური საბჭოს წევრი – წამყვანი პროფესორი, პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი;“;

ბ) მე-6 პუნქტის „დ[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ[1]) შესაბამისი ფაკულტეტის წამყვანი პროფესორის, პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ან შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თანამშრომლის თანამდებობაზე შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა;“.

2. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის;

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის

მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) ბრძანებით დადგენილი წესით ამტკიცებს კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის;“.

3. 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. 27-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება წამყვანი პროფესორისაგან, პროფესორისაგან, ასოცირებული პროფესორისაგან, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტისაგან.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

,,1^1. წამყვანი პროფესორი უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ამასთანავე, იგი მონაწილეობს აღნიშნულ პროცესსა და საქმიანობაში.“.

5. 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 29. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. წამყვანი პროფესორის თანამდებობაზე 2 წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები (პუბლიკაციები), მონაწილეობდა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვა) და რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დამატებით პირობებს.

2. პროფესორის თანამდებობაზე 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები.

3. პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები (სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და აქვს სხვა მიღწევები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით).

4. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, 7 წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

5. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, 4 წლის ვადით.

6. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი, 3 ან 4 წლის ვადით. პირის ასისტენტის თანამდებობაზე არჩევის ვადა განისაზღვრება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესით.

7. დასაშვებია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის მე-2 – მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული პირობებით აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი განისაზღვრება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესით.“.

6. 36-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. უნივერსიტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად, აგრეთვე პირი, რომელიც ჩარიცხულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელიც ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასრულებს სასწავლო კომპონენტის ან/და კვლევითი კომპონენტის ნაწილს უნივერსიტეტში ან/და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში.".

7. 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. უნივერსიტეტში 1 სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს.“.

8. 43^1 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შედგება უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის წამყვანი პროფესორების, პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისაგან, აგრეთვე უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი

ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლებისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისაგან. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრები შეირჩევიან დაწესებულების აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად.“.

9. 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს მთავრობის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოყოფილი დაფინანსება;“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

10. 51-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 - მე-6 პუნქტები:

„4. 2031 წლამდე, გარდა ამ წესდების 36-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირებისა, უნივერსიტეტის სტუდენტი არის ასევე ის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის გასავლელად.

5. გარდა ამ წესდების 45-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების წყაროებისა, 2030-2031 სასწავლო წლის ჩათვლით უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროდ, ასევე, განიხილება სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტით (მხოლოდ აკრედიტებულ პროგრამებზე) დაფარული სწავლის საფასური და სამინისტროს მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება.

6. 2025 წლის 17 დეკემბრამდე უნივერსიტეტში ჩარიცხული პირების სწავლის დაფინანსება ხორციელდება „2025 წლის 17 დეკემბრამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების სწავლის დაფინანსების წესისა და პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 15 იანვრის №3 დადგენილების შესაბამისად.".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა

და ახალგაზრდობის მინისტრი **გივი მიქანაძე**

განმარტებითი ბარათი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტთან დაკავშირებით

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში განსახორციელებელი ცვლილების პროექტი ითვალისწინებს წესდების ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი (№1198-IVმს-XIმპ, 10/12/2025), (№1354-Vმს-XIმპ, ; 04/02/2026)) შესაბამისობაში მოყვანას, გარდამავალ საკითხებთან დაკავშირებით.

ცვლილების პროექტით მათ შორის დარეგულირდება ახალი აკადემიური თანამდებობის - წამყვანი პროფესორის შემოღებასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, წამყვანი პროფესორის თანამდებობაზე არჩევის წესის, კრიტერიუმების, უნივერისტეტის აკადემიურ საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოში წევრობის შესახებ ნორმები.

ცვლილების პროექტით ხორციელდება წესდების იმ ნორმის ამოღება, რომელიც არეგულირებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრობის საკითხებს, ვინაიდან მოცემული ნორმა მრავალი წლის განმავლობაში გამოუყენებელია და დადგინდა, რომ მისი არსებობის საჭიროება აღარ არის.

წესდების ცვლილებები არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

წარმოდგენილი ბრძანების პროექტი არ არის გამოწვეული ევროკავშირის სამართლებრივი აქტით, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ბრძანების პროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

პროექტის ავტორია სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო წარმდგენი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.